თბილისის თავისუფალი აკადემია

ბიზნესის ადმინისტრირების

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration (MBA)
უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური
II საფეხური, მაგისტრატურა Second level, Master
საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი
აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა Higher Education Academic Programme
მისანიჭებელი კვალიფიკაცია
ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი Master of Business Administration (MBA)
სწავლის ხანგრძლივობა
4 სემესტრი (2 აკადემიური წელი)
პროგრამის მოცულობა კრედიტებით
120 (ECTS) კრედიტი
სწავლების ენა
ქართულ ენა
პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი
მარინე კობალავა ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი **დავით შოშიტაშვილი**

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას გააჩნია დაშვების გამჭვირვალე წინაპირობა, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და ორიენტირებულია პირის მიერ პროგრამის დაძლევის შესაძლებლობებზე. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის ხარისხის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“ თანახმად მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის გაგრძელების უფლება აქვს მხოლოდ იმ მაგისტრანტობის კანდიდატს, რომელმაც საერთო სამაგისტრო გამოცდასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე/გამოცდებზე წარმატებით გადალახა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. ინსტიტუციის მიერ განსაზღვრული გამოცდით (შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა) ვლინდება ცოდნის ზოგადი დონე არჩეული სპეციალობისა და ინგლისური ენის B2 დონის ფარგლებში. შიდა საუნივერსიტეტო გამოცდების საკითხები/ტესტები და სტუდენტთა ცოდნის შეფასების კრიტერიუმები განთავსდება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ - გვერდზე გამოცდების დაწყებამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე (www.freeacademy.edu.ge). ინგლისური ენის ტესტირებისგან თავისუფლდება კანდიდატი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, კერძოდ: FCE; IELTS; TOEFL. ასევე კანდიდატი, ვისაც ინგლისურ ენაზე გავლილი აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ თანახმად, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მიერ დადგენილი წესების დაცვით.

მაგისტრანტობის კანდიდატებს/სტუდენტებს უფლება აქვთ ისწავლონ საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის N224 ბრძანების „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში

საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესი“ თანახმად.

პროგრამის ხანგრძლივობა/მოცულობა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის ხანგრძლივობა მოიცავს 4 სემესტრს (ორ აკადემიურ წელს, ხოლო სემესტრი მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდ(ებ)ის ჩატარებისა და მათში სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს).

სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს.

კრედიტი მოიცავს სტუდენტისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და მისი მოპოვება შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის მეშვეობით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით.

ერთი აკადემიური წელი მოიცავს 60 (ECTS) კრედიტს. უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით დასაშვებია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 60 კრედიტს ან იყოს 60 კრედიტზე ნაკლები.

დაუშვებელია სტუდენტის სასწავლო წლიური დატვირთვა აღემატებოდეს 75 (ECTS) კრედიტს. ერთი კრედიტი (ECTS) უტოლდება სტუდენტის სასწავლო საქმიანობას (სტუდენტის დატვირთვა) 25 საათის განმავლობაში და მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს.

კრედიტების განაწილება სხვადასხვა სასწავლო კომპონენტებს შორის ეფუძნება საშუალო აკადემიური მიღწევის მქონე სტუდენტის დატვირთვის რეალურ შეფასებას, რომელიც საჭიროა ყოველი კომპონენტისათვის დადგენილი სწავლის შედეგების მისაღწევად.

იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ვერ შეძლებს 2 აკადემიური წლის განმავლობაში პროგრამის დაძლევას და მინიმუმ 120 კრედიტის მოპოვებას, მას ეძლევა შესაძლებლობა დამატებითი სემესტრის/სემესტრების განმავლობაში ამოწუროს პროგრამა და მოიპოვოს მაგისტრის აკადემიური ხარისხი (არა უმეტეს 4 სემესტრისა) სტუდენტის სტატუსის შენარჩუნებით.

პროგრამის სტრუქტურა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა შედგენილია განათლების სისტემაში მიმდინარე რეფორმის მოთხოვნების შესაბამისად. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ბოლონიის პროცესით დეკლარირებულ მოთხოვნებზე და აკუმულირდება სწავლის ხარისხის შეფასებების კონკურენტუნარიანობის პრიორიტეტულობაზე.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა/შინაარსი ეყრდნობა 2019 წლის 10 აპრილის N69/ნ ბრძანებას „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების

კლასიფიკატორის დამტკიცების შესახებ“ და „ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახასიათებელს“.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლა მიმდინარეობს ძირ-ითადი სწავლის სფეროს სავალდებულო, ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი და არჩევითი სასწავლო კურსების მეშვეობით. მისაღწევი კომპეტენციების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა განსაზღვრავს სამაგისტრო პროგრამის შინაარსს, მის სტრუქტურას და ასახულია სასწავლო გეგმაში.

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად სტუდენტმა საჭიროა დააგროვოს მინიმუმ 120 (ECTS) კრედიტი.

კრედიტები ნაწილდება შემდეგნაირად:

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტები:

სულ 95 კრედიტი - მათ შორის:

- ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები - 65 კრედიტი
- სამაგისტრო ნაშრომი - 30 კრედიტი

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები - სულ 51 კრედიტი;

არჩევითი სასწავლო კურსები - 44 კრედიტი.

შენიშვნა: სტუდენტი ვალდებულია ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსებიდან დააგროვოს მინიმუმ 15 და მაქსიმუმ 25 კრედიტი;

სტუდენტი ვალდებულია არჩევითი სასწავლო კურსებიდან დააგროვოს მინიმუმ 0 და მაქსიმუმ 10 კრედიტი.

ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კომპონენტები ფოკუსირებულია სტუდენტს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროს განვითარების თავისებურებების, ბიზნესის მართვის სფეროსთან დაკავშირებული უახლესი კონცეფციების, მიდგომებისა და მოდელების საკვანძო საკითხებზე. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ყველა აქტორის - მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსების და სხვათა კომპლექსური ცოდნისა და პროფესიული მოღვაწეობისათვის საჭირო უნარ - ჩვევების გამომუშავებაზე.

სამაგისტრო ნაშრომის შესრულება არის სავალდებულო კომპონენტი და სტუდენტი დამოუკიდებლობის ხარისხის შესაბამისად განახორციელებს სამაგისტრო ნაშრომის შესრულება/კვლევას. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ შესრულებულ კვლევითი ხასიათის ნაშრომს, რომელიც აჯამებს მაგისტრანტის კვლევით უნარებს. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას უნდა გამოვლინდეს ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების შესწავლის შედეგად მიღწეული ცოდნის დონის და პრაქტიკული უნარების ხარისხის შესაბამისობა სამაგისტრო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები (სულ 51 კრედიტი) შეთავაზებულია პირველ, მეორე და მესამე სემესტრებში და შესაძლებელია არჩევა წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში) დაცვით.

ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსების ფარგლებში შეძენილი ფართო ცოდნის სტუდენტის საუკეთესო უნარებისა და კომპეტენციის გაღრმავებაზე.

არჩევითი სასწავლო კურსები შეთავაზებულია პირველ, მეორე და მესამე სემესტრში და შესაძლებელია არჩევა წინაპირობების (არსებობის შემთხვევაში) დაცვით. არჩევითი სასწავლო კურსები ორიენტირებულია ზოგადი და ტრანსფერული უნარების განვითარების ხელშეწყობაზე სტუდენტისათვის მათთვის საინტერესო სფეროებში თვალსაწიერის გაფართოების მიზნით. არჩევითი სასწავლო კურსები ფოკუსირებულია ბიზნესის გარემოს მულტიდისციპლინარული ცოდნის გამოყენებაზე.

პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაციის მინიჭება ხდება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმის შესაბამისად არანაკლებ 120 კრედიტის დაგროვების - პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსებში კრედიტის მიღებით და პროგრამის მოთხოვნების შესრულების შედეგად.

პროგრამის შესაბამისობა მისიასთან

თბილისის თავისუფალი აკადემია ქმნის თანამედროვე სასწავლო გარემოს ინოვაციური მეთოდების დანერგვით. აკადემია მუდმივ ცვალებად ციფრულ ეპოქაში უზრუნველყოფს მოამზადოს შრომის ბაზრისათვის კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური და სოციალურად მაღალი ცნობიერების მქონე თაობები. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია ადგილობრივ და საერთაშორისო შრომის ბაზარს მიაწოდოს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში მოღვაწე სამოქალაქო საზოგადოების მოთხოვნების შესაბამისი განათლების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტები. მისიიდან გამომდინარე ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს სტრატეგიულად მოაზროვნე სპეციალისტები, რომლებსაც ექნებათ ეფექტური მართვისა და განვითარების უნარი.

პროგრამის აქტუალობა და შესაძლო დასაქმების სფეროები

ბიზნესის ადმინისტრირების სპეციალობა ერთ - ერთ ყველაზე მოთხოვნად და აქტუალურ პროფესიას წარმოადგენს შრომით ბაზარზე. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აქტუალობას განსაზღვრავს კვალიფიკაციის მფლობელთა მაღალი დასაქმების მაჩვენებელი ადგილობრივ თუ საერთაშორისო შრომის ბაზარზე. პროგრამის აქტუალობა გამომდინარეობს დარგის პრიორიტეტულობიდან, რაც განპირობებულია ეროვნული საჭიროებებითა და ბიზნესის საქმიანობის განხორციელების უკიდერესი ვალიდურობით. თანამედროვე შრომით ბაზარზე თითქმის არ არსებობს სფერო, სადაც ბიზნესის ადმინისტრირების კურსდამთავრებული ვერ დასაქმდება.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო ხარისხის კვალიფიკაციის მფლობელთა დასაქმება შესაძლებელია ქვემოთ ჩამოთვლილ ინსტიტუციებში, კომპანიებში, ორგანიზაციებში და სხვა სამსახურებში წამყვან პოზიციებზე:

- სახელმწიფო დაწესებულებებში;
- სახელმწიფო მართვის ცენტრალურ, ადგილობრივ და მუნიციპალურ ორგანოებში;
- ადგილობრივ და საერთაშორისო კომპანიებში;
- სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებში;
- კერძო სექტორში;
- სადაზღვევო კომპანიებში;
- საბანკო სექტორში;
- მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში;
- საფინანსო, საგადასახადო, საბუღალტრო, აუდიტის, საბროკერო და ბიზნესის სხვადასხვა ფუნქციონალურ სფეროებში.

კურსდამთავრებულები პროფესიული საქმიანობის განხორციელებას შეძლებენ განათლების, ჯანდაცვის, მართვის, წარმოებისა და ბიზნესის, მოსახლეობის სოციალური დახმარების სფეროშიც და ასევე, ეს შეიძლება იყოს კვლევითი ორგანიზაციები, საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ცენტრები, ტრენინგის ცენტრები, სარეკლამო და PR ინდუსტრია, საკონსულტაციო და კონსალტინგური ცენტრები და ა.შ. ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრს შეეძლება დააფუძნოს საკუთარი ბიზნესი და უხელმძღვანელოს პროფესიონალთა ჯგუფის მუშაობას ბიზნეს - საქმიანობის პროცესში.

აღნიშნული სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებული ასევე შეძლებს მიღებული ცოდნის გამოყენებას და დასაქმებას მომიჯნავე სპეციალობის დარგში. კურსდამთავრებული შეძლებს სწავლის გაგრძელებას შემდგომი საფეხურის/დოქტორანტურის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად, როგორც ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით, ასევე სხვა მიმართულებითაც.

პროგრამის მიზანი

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები და პროგრამის სწავლის შედეგები სრულ შესაბამისობაშია ერთმანეთთან, არის გაზომვადი და რეალისტური. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მრავალფეროვანია და ფოკუსირებულია ბიზნესის გარემოს მულტიდისციპლინარული ცოდნის გამოყენებაზე. პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს ჰქონდეს საფეხურის შესაბამისი და ვალიდური კომპეტენციები ბაზარზე წარმატებით ოპერირებისათვის და მისწრაფება საკუთარი ბიზნესის წარსამართად.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები:

1. შრომის ბაზრის შესაბამისი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას;
2. ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეულ ფუნქციონალურ სფეროებთან დაკავშირებით

სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება;

3. ბიზნესის თანამედროვე მოდელების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გლობალურ კონტექსტში კოორდინაცია;

4. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, ინკორპორირება და ორიგინალური გზებით მათი გადაწყვეტა;

5. დინამიურ ბიზნეს გარემოში ეფექტური ოპერაციული პროცესების კონსოლიდაცია ბაზარზე პოზიციონირებისათვის;

6. ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენებით დამოუკიდებლად წარმართვა;

7. კორპორაციული ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართების საკითხების ბიზნესის ძირითად სუბიექტებს შორის მართვა.

პროგრამის სწავლის შედეგები

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამით მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად განსაზღვრული სწავლის შედეგები არის გაზომვადი, რეალისტური და აღწერს იმ ცოდნას და უნარებს, რომელსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას. მისაღწევი შედეგების ფორმირების ლოგიკური თანმიმდევრობა და ორიენტირები აგებულია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სიღრმისეული ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის გამომუშავებაზე და განსაზღვრავს პროგრამის შინაარსს და მის პრიორიტეტებს.

პროგრამის სწავლის შედეგები:

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:

ცოდნა და გაცნობიერება

1. სიღრმისეულად და სისტემურად განიხილავს ბიზნესის ადმინისტრირების აქტიურ მდგენელთა - ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და საფინანსო აღრიცხვის, კორპორაციული ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად კონცეპტს და მათი გამოყენების სტრატეგიულ კონტექსტს
2. სიღრმისეულად აღწერს ფინანსური სისტემების, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების სექტორალურ ცოდნას ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების მხარდასაჭერად
3. აცნობიერებს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას ბიზნესის განვითარებისათვის;

4. კვლევის შედეგების საფუძველზე კრიტიკულად აანალიზებს ორგანიზაციებში არსებულ პრობლემებს და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს

უნარი

5. წარმატებით ახდენს ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ოპტიმალური მიდგომების ფორმულირებას და ორიგინალური გზებით მათ გადაწყვეტას
6. დამოუკიდებლად შეიმუშავებს საბაზრო პროცესების მაკროდონის საპროგნოზო მოდელებს, აანალიზებს ბიზნესის ეკონომიკურ აქტორებს, იკვლევს კონკრეტულ შემთხვევებსა და პროგნოზირებს სიტუაციას
7. სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით იღებს გადაწყვეტილებებს იდეის მიზანშეწონილობაზე, როგორც კომერციულ ღირებულებაზე
8. დამოუკიდებლად შეიმუშავებს და წარმართავს კვლევით პროექტებს უცნობ და მულტიდისციპლინურ გარემოში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გაზიარებითა და სტანდარტების ოპტიმალური გამოყენებით

პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა

9. დამოუკიდებლად იყენებს სფეროში მიღებულ ცოდნას ცვალებად გარემოში ადაპტირებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით
10. უწყვეტი პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად წარსამართად ახორციელებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ეთიკური ღირებულებების თანმიმდევრულ და მრავალმხრივ შეფასებას

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის აუცილებელია სწავლებისა და სწავლის მეთოდების თანხვედრა ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. სწავლებისა და სწავლის მეთოდები ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლის პრინციპებს. სწავლებისა და სწავლის ქვემოთ ჩამოთვლილი მეთოდები ყველაზე გავრცელებული ფორმებია, თუმცა სასწავლო პროგრამით შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს მხოლოდ ზოგიერთი მათგანი და, აგრეთვე, სხვა მეთოდები.

სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყებულია სწავლება-სწავლის შემდეგი მეთოდოლოგია:

- დისკუსია/დებატები – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტიურობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში და ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პედაგოგის მიერ დასმული შეკითხვებით. იგი უვითარებს სტუდენტს მსჯელობისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს თვალსაწიერის გაფართოების მიზნით;
- პრეზენტაცია/დემონსტრირების მეთოდი – ეს მეთოდი ეხმარება თვალსაჩინო გახდეს სასწავლო

მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური. ამავე დროს, ეს მეთოდი ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს, რაც შედეგის მიღწევის თვალსაზრისით საკმაოდ ეფექტურია. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ლექტორის, ისე სტუდენტის მიერ;

- ინდუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისკენ;
- დედუქციური მეთოდი - განსაზღვრავს ნებისმიერი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ;
- ანალიზის მეთოდი - ეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება;
- სინთეზის მეთოდი - გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთლიანის დანახვის უნარის განვითარებას;
- ახსნა - განმარტებითი მეთოდი - ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვა ხდება მოცემული თემის ფარგლებში. ეს მეთოდი ხელს უწყობს ჯგუფის მაქსიმალურ ჩართულობას საკითხთა განხილვის პროცესში, სტუდენტის ლოგიკური აზროვნების, დამოუკიდებელი აზრის ჩამოყალიბების, საკუთარი აზრის დასაბუთების და სხვათა აზრის პატივისცემის უნარს;
- მაგალითების გენერირება - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ სხვადასხვა მოდელირებული მაგალითის ჩამოყალიბებას;
- პრაქტიკული სამუშაო - სტუდენტი შეძენილი ცოდნის საფუძველზე დამოუკიდებლად ასრულებს ამა თუ იმ მოქმედებას, რაც მას პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს უყალიბებს;
- პრეზენტაცია - მოიაზრებს სტუდენტთა დაკომპლექტებას შესაბამის ჯგუფებად. საპრეზენტაციო თემები სტუდენტებმა შესაძლებელია შეარჩიონ ლექტორის მითითებით ან დამოუკიდებლად და მოძიებული მასალის დამუშავების საფუძველზე დაიცვან საჯაროდ;
- ვერბალური პრეზენტაცია - მოიცავს თეორიული საკითხების ცოდნას, რომელიც ხორციელდება ნარატივის სახით ან შეკითხვებზე პასუხის გაცემის ფორმატში და მოიაზრებს გამოკითხვაში, დისკუსიაში მონაწილეობას. ვერბალური პრეზენტაცია ითვალისწინებს თეორიული საკითხების ცოდნის დემონტრაციასა და მსჯელობას კონკრეტულ საკითხებზე;
- გონებრივი იერიში - გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად ბევრი, რადიკალურად განსხვავებული აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და მისი გამოთქმის ხელშეწყობას, რაც ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას;

- რესურსების მოძიება - ახალი ინფორმაციის/მასალის დამოუკიდებლად მოძიება ელექტორნული და ბეჭდური საშუალებების გამოყენებით;
- სააზროვნო შეკითხვები - წარმოადგენს სწავლებისა და სწავლის ეფექტიან სტრატეგიას, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტთა მაღალი სააზროვნო უნარების განვითარებას;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL) – სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;
- შემთხვევების შესწავლა (Case study) - სიტუაციური ანალიზის მეთოდია, რომლის საფუძველია სწავლება კონკრეტული ამოცანების/სიტუაციების გადაჭრის გზით ე.წ. „კეისების“ ამოხსნა. სწავლების მეთოდი დაფუძნებულია კონკრეტული პრაქტიკული მაგალითების (კეისების) განხილვაზე. „კეისი“ წარმოადგენს ერთგვარ ინსტრუმენტს, რომელიც მიღებული თეორიული ცოდნის გამოყენების საშუალებას იძლევა პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისთვის თეორიისა და პრაქტიკის შეხამებით. მეთოდი ეფექტიანად ანვითარებს დასაბუთებული გადაწყვეტილებების შეზღუდულ დროში მიღების უნარს;
- ჯგუფური (collaborative) მუშაობა - გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფურად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალებების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ თავის მოსაზრებებს ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში;
- ინდივიდუალური პროექტი - წარმოადგენს სწავლა-სწავლების მეთოდს, სადაც გათვალისწინებულია მიღებული ცოდნის შენარჩუნება და მისი აქტიური გამოყენება. იგი წარმოადგენს ერთგვარი გეგმას, რომელშიც ასახულია კონკრეტული პრობლემის შესახებ მოდელირებული შესაძლებლობის წარმოჩენა;
- ევრისტიკული მეთოდი - ეფუძნება დასმული საკითხის ეტაპობრივ გადაწყვეტასა და სწავლებისას ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებას. მეთოდი მოიაზრებს სექტორის ამა თუ იმ მიმართულების განვითარების ამსახველი განმაზოგადებელი მაჩვენებელების გაანგარიშებას სტუდენტის მიერ, მოვლენების განვითარების კანონზომიერების დადგენას და დასკვნების გაკეთებას. შედეგები სტუდენტმა უნდა წარადგინოს პრაქტიკულ მეცადინეობაზე და უნდა შეძლოს დისკუსიის წარმართვა აუდიტორიასთან;
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება - ჯგუფის თითოეული წევრი ვალდებულია არა მხოლოდ თვითონ შეისწავლოს, არამედ დაეხმაროს თავის თანაგუნდელს საგნის უკეთ შესწავლაში. ჯგუფის თითოეული წევრი მუშაობს პრობლემაზე, ვიდრე ყველა მათგანი არ დაეუფლება საკითხს;
- სიტუაციური იმიტაცია - სიტუაციური იმიტაცია წარმოადგენს მეთოდს, სადაც სტუდენტს ეძლევა საშუალება კონკრეტული საკითხის/თემის წარმოსასახად და შემდგომ გასაანალიზებლად; ამ მეთოდით სტუდენტი სწავლობს დავალების შესრულებას დაკვირვებებსა და მოქმედებებს შორის ასახვის შესწავლით. იმიტაციის საშუალებით სწავლების პარადიგმა პოპულარობას იძენს, რადგან

იგი ხელს უწყობს რთული ამოცანების სწავლებას დავალებების მინიმალური ექსპერტული ცოდნის საფუძველზე;

- ქვიზი - არის წერითი ნამუშევარი (განვლილი თემატიკის ფარგლებში თეორიული მასალის შემოწმება). ამ მეთოდით იზომება სტუდენტის ცოდნა, შესაძლებლობები, უნარები. ქვიზი შედგება თეორიული საკითხებისაგან;
- როლური თამაშები – წარმოადგენს სწავლების აქტიურ მეთოდს, რომელიც მიმართულია დიალოგური და მონოლოგური მეტყველების, მოსმენის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. როლური თამაშების დროს ხდება საკომუნიკაციო სიტუაციის შესაბამისი დარგობრივი ლექსიკის, ენობრივი კონსტრუქციების, კლიშეების გამოყენება და მათი დამახსოვრება. ამ აქტივობის მიზანია მონაწილეებმა მეტი ცოდნა მიიღონ ერთმანეთის გამოცდილების გაზიარების საფუძველზე. წინასწარ შემუშავებული სცენარის მიხედვით განხორციელებული თამაშები სტუდენტებს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედონ საკითხს. იგი ეხმარება მათ ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. ისევე როგორც დისკუსია, ეს თამაშებიც უყალიბებს სტუდენტს საკუთარი პოზიციის დამოუკიდებლად გამოთქმისა და კამათში მისი დაცვის უნარს;
- ესე - დამოუკიდებელი მუშაობა ლექტორის მიერ წინასწარ განსაზღვრულ თემაზე - სტუდენტთა სწავლის შედეგების შეფასების ეფექტური მეთოდია. მისი გამოყენება სწავლებაში ხელს უწყობს სტუდენტების მიერ აზრის მკაფიოდ და გამართულად, ლოგიკური თანმიმდევრობით ჩამოყალიბების, ბიზნესის ტერმინოლოგიით მეტყველების ჩვევების განვითარებას. ასევე ესე აჩვევს სტუდენტებს მაგალითების, ციტატების გამოყენებას, განსახილველი თემის შესახებ საკუთარი აზრის დაფიქსირებას. ესეს მიზანია სტუდენტების შემეცნებითი საქმიანობის ნაყოფიერი და შემოქმედებითი ნაწილის დიაგნოსტირება, რაც გულისხმობს ინფორმაციის ანალიზის, მისი ინტერპრეტაციის, არგუმენტების აგების, დასკვნების ფორმულირების უნარების შეფასებას;
- თარგმანი - დარგობრივ ლექსიკაზე დაყრდნობით განუვითარებს სტუდენტს თარგმნის პრაქტიკულ უნარ - ჩვევებს, გაუუმჯობესებს თარგმნის ტექნიკას, ასწავლის მათ როგორ ჩასწვდნენ ტექსტის ენას, გაიაზრონ ექსპლიციტური და იმპლიციტური ინფორმაცია;
- სავარჯიშოები - აუცილებელი შემადგენელია უცხოური ენის სწავლების პროცესში გრამატიკული და ლექსიკური უნარების აქტუალიზაციისათვის, დარგობრივი ენის დახვეწა-გაღრმავებისათვის;
- წერითი მუშაობა - სტუდენტთა მიერ სხვადასხვა დავალებების წერითი ფორმით შესრულებას/წარმოდგენას;
- წიგნზე მუშაობა - სასწავლო ლიტერატურის დამოუკიდებლად დამუშავება;
- მოსმენა - უნვითარებს სტუდენტს უცხოურ ენაზე აუთენტური ინგლისური მეტყველების გაგების, ყურადღების კონცენტრაციის, მოსმენილი მასალიდან ზოგადი და კონკრეტული ინფორმაციის აღქმისა და გაანალიზების უნარ - ჩვევებს;
- ბლიც-გამოკითხვა - არის ფრონტალური გამოკითხვა განვლილი მასალის ფარგლებში, რითაც ვლინდება სტუდენტის მიერ განვლილი მასალის აღქმის დონე შედარებით მოკლე დროში;

- სასემინარო მოხსენება - წარმოადგენს მეთოდს, რომელიც სტუდენტს უვითარებს საკითხის შესაბამისი, სანდო და ხარისხიანი წყაროების დამოუკიდებლად მოძიების, მონაცემთა შეგროვებისა და განმარტების, პრობლემების გამოკვეთის, მათი გადაჭრის გზების წარმოჩენის, თეზისების დამუშავებისა და დასკვნების წარმოდგენის უნარ - ჩვევებს. სასემინარო მოხსენება ავლენს საკითხის ცოდნის დონეს და მასალის დამუშავების სიღრმეს და სხვა.

შენიშვნა:

კონკრეტული აქტივობების ან მათი კომბინაციის შერჩევა დამოკიდებულია შესაბამისი კომპონენტით დასახულ მიზნებსა და სწავლის შედეგებზე. სასწავლო კურსების განმახორციელებელი ლექტორები სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით თავად განსაზღვრავენ სასწავლო პროცესში გამოსაყენებელ სხვადასხვა მეთოდებს, რაც ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსებში.

ლექციები ინტერაქციულია. მათი დანიშნულებაა სილაბუსით გათვალისწინებული თემების თეორიული გააზრება, განზოგადება და პრობლემურ დონეზე განხილვა, სტუდენტებისთვის დამოუკიდებელი სწავლის ორიენტირების ჩამოყალიბება. ლექციებზე ყურადღება კონცენტრირებულია განსახილველი საკითხის ძირითადი დებულებების გამოკვეთაზე, დასაბუთებული თეზისების ფორმულირებასა და მათ კრიტიკულ ანალიზზე. სამუშაო ჯგუფში მუშაობის/პრაქტიკული მუშაობის დანიშნულება ლექციებზე მიღებული ცოდნის გაღრმავება და დაკონკრეტება და მისი პრაქტიკული აპლიკაციაა. ლექციაზე ხდება თეორიული მასალის გააზრება, მოსაზრებების ჩამოყალიბება და გაზიარება, კამათი და პოზიციის არგუმენტირება, კონკრეტული პრაქტიკული სამუშაოს შესრულება, პროფესიული საქმიანობის ჩვევების ფორმირება.

სტუდენტის მიღწევების შეფასება - ზოგადი წესები

უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის მინისტრის N3 ბრძანებით დამტკიცებული სტუდენტთა შეფასების 100 - ქულიანი სისტემა. შეფასებათა მაქსიმალური ჯამური ქულა უდრის 100, შესაბამისად, მაქსიმალური დადებითი შეფასება 100 ქულაა, ხოლო მინიმალური დადებითი შეფასება არის 51 ქულა. შეფასების თითოეულ მეთოდს განსაზღვრული აქვს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რაც სასწავლო კურსის სპეციფიკისა და სწავლის შედეგების მიღწევის ინტერესის გათვალისწინებით სხვადასხვა სასწავლო კურსში განსხვავებული შეიძლება იყოს.

სტუდენტის შეფასება მოიცავს:

ა. ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91 – 100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ. ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება მიმდინარე სემესტრში;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების (100 ბალიანი) სისტემა დაყოფილია კომპონენტებად: შუალედური შეფასება, რომელიც თავის მხრივ მოიცავს პრაქტიკულ აქტივობას (სამუშაო ჯგუფში მუშაობა/სემინარული/პრაქტიკული მეცადინეობა, პრეზენტაცია და სხვ.), შუალედურ გამოცდას და დასკვნით გამოცდას.

სტუდენტის შეფასებისას წაყენებული აკადემიური მოთხოვნები:

სტუდენტი კრედიტის მისანიჭებლად ვალდებულია გადალახოს სასწავლო კურსის სილაბუსით შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

თუ სტუდენტი ვერ გადალახავს აკადემიაში დამტკიცებული სასწავლო კურსით განსაზღვრულ შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, ის მოიხსნება სასწავლო კურსიდან და გაუფორმდება შეფასება "F", რაც ითვალისწინებს აღნიშნული სასწავლო კურსის განმეორებით შესწავლას. დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც გადალახა შუალედური შეფასების თითოეულ ფორმაში/კომპონენტში დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.

FX შეფასების და/ან დასკვნით გამოცდაზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ასევე მიღებული შეფასების გაუმჯობესების მიზნით, სტუდენტს ეძლევა გამოცდის ერთხელ გადაბარების უფლება დამატებით გამოცდაზე იმავე სემესტრში, დასკვნითი გამოცდიდან არანაკლებ 5 დღეში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებად დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით. საგამნანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფორმდება შეფასება F-ქულა.

შენიშვნა:

- შეფასების ფორმები და კომპონენტები, მათი ხვედრითი წილი საერთო შეფასებაში და მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, ასევე შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები ასახულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში და ეს ინფორმაცია ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის;

- დასკვნითი გამოცდა ტარდება სემესტრის ბოლოს, სასწავლო პროცესის აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ ვადებში;
- დაუშვებელია სტუდენტის მიერ მიღწეული სწავლის შედეგების ერთჯერადად შეფასება;
- სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისათვის სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი სწავლების სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები.

აკადემიური ხარისხის/კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

ბიზნესის ადმინისტრირების საგანამანათლებლო სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულისათვის კვალიფიკაციის მინიჭება ხდება „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია და ეძლევა შესაბამისი სამაგისტრო პროგრამის გავლის დამადასტურებელი დიპლომი, სახელმწიფოს მიერ დადგენილი ნიმუშის დანართთან ერთად.

პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსი

პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია მაღალკვალიფიციური კადრებით. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კომპონენტებს უძღვება ინსტიტუციის აკადემიური პერსონალი, სათანადო გამოცდილებისა და კომპეტენციების მქონე მოწვეული პერსონალი და პრაქტიკოსი სპეციალისტები.

სამაგისტრო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალურ - ტექნიკური რესურსები

პროგრამით გათვალისწინებული მიზნების რეალიზაციისა და სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობა უზრუნველყოფილია უახლესი მატერიალურ - ტექნიკური ბაზით, თანამედროვე ტექნოლოგიებით და შესაბამისი ინვენტარით აღჭურვილი სასწავლო აუდიტორიებით, ულტრათანამედროვე საპროფესოროებით, მულტიფუნქციური ბიბლიოთეკით (მრავალფეროვანი წიგნადი და ელექტრონული რესურსით), კომპიუტერული რესურს ცენტრით, უწყვეტი ინტერნეტით. უსდ-ში ფუნქციონირებს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემა.

თბილისის თავისუფალ აკადემიას აქვს წვდომა შემდეგ საერთაშორისო სამეცნიერო საბიბლიოთეკო ელექტრონულ ბაზებზე:

- Cambridge Journals Online - ბაზა მოიცავს 360 დასახელების აკადემიურ ჟურნალს და 30 000-ზე მეტი დასახელების ელექტრონულ წიგნს შემდეგ სამეცნიერო მიმართულებებში: ეკონომიკა, მათემატიკა, პოლიტიკა, ასტრონომია და ა.შ.;
- e-Duke Journals Scholarly Collection – ბაზა ღია წვდომის საშეალებას იძლევა Duke University Press-ის მიერ გამოცემულ წიგნებსა და ჟურნალებზე. ეს გამომცემლობა ყოველწლიურად გამოსცემს 120 დასახელების ახალ წიგნსა და 50-ზე მეტ ელექტრონულ სამეცნიერო ჟურნალს სხვადასხვა სამეცნიერო დარგში;
- Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books – ბაზა მოიცავს სამეცნიერო კვლევებს, მონოგრაფიებს, სახელმძღვანელოებს, ლექსიკონებს, ენციკლოპედიებს და ჟურნალებს ეკონომიკაში, ბიზნესში, სოციალურ მეცნიერებებში და სამართალში. მათ მიერ გამოცემულ

ავტორებს შორის 14 ნობელის პრემიის ლაურეატია;

- IMechE Journals – ბაზა მოიცავს სამეცნიერო ჟურნალებს სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებებში. აგრეთვე, ჯანდაცვისა და ბიოსამედიცინო სფეროებში, ინჟინერიისა და ფიზიკის მეცნიერებებში;
- Royal Society Journals Collection – ბაზა მოიცავს ბიოლოგიის, ფიზიკისა და საინჟინრო-მათემატიკურ მეცნიერებებს, გარემოსა და კლიმატის შესახებ მიმართულებებს და სხვ.;
- SAGE Journals – ბაზა მოიცავს სხვადასხვა სამეცნიერო მიმართულებების 900-ზე მეტი დასახელების ჟურნალს და 700 000-ზე მეტ პუბლიკაციას. მასალებზე წვდომა შესაძლებელია 1999 წლიდან დღემდე გამოქვეყნებულ რესურსებზე;
- Openedition Journals - ბაზა აერთიანებს 4 პლატფორმას, რომელიც ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების ელექტრონულ რესურსებს მოიცავს;
- Edward Elgar Publishing Journals;
- Mathematical Sciences Publishers Journals.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სრულყოფილად განხორციელებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის მხარდაჭერის მიზნით სამაგისტრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხორციელდება პროგრამის ბიუჯეტით. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალურ - ტექნიკური რესურსების მუდმივ განახლებაზე, ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის პროგრამის შესაბამისი უახლესი ლიტერატურით შევსებაზე, კვლევითი პროექტების ხელშეწყობაზე, სტუდენტური სამეცნიერო კონფერენციების მოწყობაზე, აკადემიის ადამიანური რესურსის განვითარებაზე, მათ შორის, მათი ნაშრომების, სტატიების, მონოგრაფიების, სახელმძღვანელოების შემუშავება/გამოცემაზე და სხვა აქტივობების განხორციელებაზე.

საგანმანათლებლო პროცესის სასწავლო-მეთოდური უზრუნველყოფა

სასწავლო პროცესი მეთოდურად უზრუნველყოფილია აკადემიის შიდა ნორმატიული აქტებით, რომელიც ემყარება საქართველოს კანონს „უმაღლესი განათლების შესახებ", საქართველოს პრეზიდენტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანებებს, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებებს.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსის სწავლების პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი სასწავლო - მეთოდური მასალით, შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებებით, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურით, ბეჭდური და ელექტრონული სახელმძღვანელოებითა და საინფორმაციო წყაროებით.

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

	სასწავლო კურსის დასახელება	სასწავლო კურსის კოდი	კრედიტები	სათები	ლექცია	პრაქტიკული მეცადინეობა	შუალედური გამოცდა	დასკვნითი გამოცდა	საკონტაქტო სათები	დამოუკიდებელი მუშაობა	სემესტრები				წინაპირობა
	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები										I	II	III	IV	
1.	ფინანსური მენეჯმენტი	FINM411	6	150	15	30	2	3	50	100	1				წინაპირობის გარეშე
2.	მარკეტინგის მენეჯმენტი	MMAN411	6	150	15	30	2	3	50	100	1				წინაპირობის გარეშე
3.	სტრატეგიული მენეჯმენტი	SMAN411	5	125	15	30	2	3	50	75	1				წინაპირობის გარეშე
4.	კვლევის მეთოდები ბიზნესში	RMB411	5	125	15	30	2	3	50	75	1				წინაპირობის გარეშე
5.	კორპორაციათა ფინანსები	CFIN421	6	150	15	30	2	3	50	100		2			წინაპირობის გარეშე
6.	კორპორაციული მენეჯმენტი	CMAN421	6	150	15	30	2	3	50	100		2			მარკეტინგის მენეჯმენტი
7.	ფირმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა	EPFD421	6	150	15	30	2	3	50	100		2			წინაპირობის გარეშე

8.	გაყიდვები და გაყიდვების მენეჯმენტი	SASM421	5	125	15	30	2	3	50	75		2			მარკეტინგის მენეჯმენტი
9.	მენეჯერული აღრიცხვა	MANA431	5	125	15	30	2	3	50	75			3		წინაპირობის გარეშე
10.	აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება	AASS431	5	125	15	30	2	3	50	75			3		წინაპირობის გარეშე
11	ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია	DTBS431	5	125	15	30	2	3	50	75			3		წინაპირობის გარეშე
12	მომარაგებისა და მიწოდების ჯაჭვის მართვა	SCHM431	5	125	15	30	2	3	50	75			3		წინაპირობის გარეშე
13	სამაგისტრო ნაშრომი	MAST441	30											4	ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო სასწავლო კურსები
	ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი სასწავლო კურსები														
14	ორგანიზაციის თეორია	THOO401	5	125	15	30	2	3	50	75	1				წინაპირობის გარეშე
15	პროექტების მართვა	PRMA401	4	100	15	15	2	3	35	65	1				წინაპირობის გარეშე
16	ანალიზის სტატისტიკური მეთოდები	SMOA401	4	100	15	15	2	3	35	65	1				წინაპირობის გარეშე
17	საჯარო ფინანსები	PUBF402	5	125	15	30	2	3	50	75		2			ფინანსური მენეჯმენტი

18	საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია და ტაქტიკა	PRST402	5	125	15	30	2	3	50	75		2			მარკეტინგის მენეჯმენტი
19	ბრენდინგი	BRAN402	4	100	15	15	2	3	35	65		2			წინაპირობის გარეშე
20	რეკლამა და პრომოცია	ADAP402	4	100	15	15	2	3	35	65		2			წინაპირობის გარეშე
21	სტრატეგიული ლიდერობა	STRL403	5	125	15	30	2	3	50	75			3		სტრატეგიული მენეჯმენტი
22	კონფლიქტების და მოლაპარაკებების მართვა	CANM403	5	125	15	30	2	3	50	75			3		კორპორაციული მენეჯმენტი
23	კორპორაციული ეთიკა და სოციალური პასუხისმგებლობა	CESR403	5	125	15	30	2	3	50	75			3		წინაპირობის გარეშე
24	სადაზღვევო საქმე	INSU403	5	125	15	30	2	3	50	75			3		წინაპირობის გარეშე
	არჩევითი სასწავლო კურსები														
25	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა	SIER401	5	125	15	30	2	3	50	75	1				წინაპირობის გარეშე
26	პოლიტოლოგია	POLS401	5	125	15	30	2	3	50	75	1				წინაპირობის გარეშე
27	ბიზნეს ინგლისური	BENG401	5	125	-	45	2	3	50	75	1				წინაპირობის გარეშე
28	მომხმარებლის ქცევა	COBE402	4	100	15	15	2	3	35	65		2			წინაპირობის გარეშე
29	ბიზნეს კომუნიკაცია	BCOM402	5	125	15	30	2	3	50	75		2			წინაპირობის გარეშე

30	საბანკო და საკრედიტო ორგანიზაციების რეინჟინერინგი	RBCO402	5	125	15	30	2	3	50	75		2			წინაპირობის გარეშე
31	პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამართალი	PDPL403	5	125	15	30	2	3	50	75			3		წინაპირობის გარეშე
32	ევროპული ინტეგრაცია	EUIN403	5	125	15	30	2	3	50	75			3		წინაპირობის გარეშე
33	პოლიტიკური იდეოლოგიები	POLI403	5	125	15	30	2	3	50	75			3		წინაპირობის გარეშე

პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი N1	პროგრამის სწავლის შედეგი N2	პროგრამის სწავლის შედეგი N3	პროგრამის სწავლის შედეგი N4	პროგრამის სწავლის შედეგი N5	პროგრამის სწავლის შედეგი N6	პროგრამის სწავლის შედეგი N7	პროგრამის სწავლის შედეგი N8	პროგრამის სწავლის შედეგი N9	პროგრამის სწავლის შედეგი N10
შრომის ბაზრის შესაბამისი ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის მომზადება, რომლის კვალიფიკაცია უზრუნველყოფს მის კონკურენტუნარიანობას	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓
ბიზნესის ადმინისტრირების ცალკეულ ფუნქციონალურ სფეროებთან დაკავშირებით სტრატეგიული და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღება	✓	✓		✓	✓	✓	✓		✓	
ბიზნესის თანამედროვე მოდელების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების გლობალურ კონტექსტში კოორდინაცია				✓		✓	✓	✓	✓	
ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირება, ინკორპორირება და ორიგინალური გზებით მათი გადაწყვეტა		✓		✓	✓	✓			✓	
დინამიურ ბიზნეს გარემოში ეფექტური ოპერაციული პროცესების კონსოლიდაცია ბაზარზე პოზიციონირებისათვის	√					√			√	
ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსთვის დამახასიათებელი კვლევითი კომპონენტის (სამაგისტრო ნაშრომი) აკადემიური	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓	✓

კეთილსინდისიერების პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენებით დამოუკიდებლად წარმართვა										
კორპორაციული ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის ურთიერთმიმართების საკითხების ბიზნესის ძირითად სუბიექტებს შორის მართვა			✓					✓	√	✓

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

პროგრამის სწავლის შედეგების რუკა													
სასწავლო კურსები													
პროგრამის სწავლის შედეგები	ფინანსური მენეჯმენტი	მარკეტინგის მენეჯმენტი	სტრატეგიული მენეჯმენტი	კვლევის მეთოდები ბიზნესში	კორპორაციული ფინანსები	კორპორაციული მენეჯმენტი	ფირმის განვითარების ეკონომიკური პოლიტიკა	გაყიდვები და გაყიდვების მენეჯმენტი	მენეჯერული აღრიცხვა	აუდიტი და მარწმუნებელი მომსახურება	ბიზნესის ციფრული ტრანსფორმაცია	მომარაგებისა და მიწოდების ჯაჭვის მართვა	სამაგისტრო ნაშრომი
სიღრმისეულად და სისტემურად განიხილავს ბიზნესის ადმინისტრირების აქტიურ მდგენელთა - ბიზნესის, მენეჯმენტის, მარკეტინგის, ფინანსებისა და საფინანსო აღრიცხვის, კორპორაციული ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის ძირითად კონცეპტს და მათი გამოყენების სტრატეგიულ კონტექსტს	1	1/2	2/3	2/3	2/3	2/3	1/2	2/3	2/3	2/3	2/3	2	3
სიღრმისეულად აღწერს ფინანსური სისტემების, ფინანსური ბაზრებისა და ინსტიტუტების სექტორალურ ცოდნას ფინანსური გადაწყვეტილებების მიღების მხარდასაჭერად	1				2/3						2/3		3

აცნობიერებს სოციალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობას ბიზნესის განვითარებისათვის		1	1/2	2/3		2/3							3
კვლევის შედეგების საფუძველზე კრიტიკულად აანალიზებს ორგანიზაციებში არსებულ პრობლემებს და განსაზღვრავს მათი გადაჭრის გზებს		1/2		2/3							2		3
წარმატებით ახდენს ბიზნესის სფეროსთან დაკავშირებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ოპტიმალური მიდგომების ფორმულირებას და ორიგინალური გზებით მათ გადაწყვეტას		1/2							2/3	2/3		2	3
დამოუკიდებლად შეიმუშავებს საბაზრო პროცესების მაკროდონის საპროგნოზო მოდელებს, აანალიზებს ბიზნესის ეკონომიკურ აქტორებს, იკვლევს კონკრეტულ შემთხვევებსა და პროგნოზირებს სიტუაციას		1/2				2/3			2			2	3
სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით იღებს გადაწყვეტილებებს იდეის მიზანშეწონილობაზე, როგორც კომერციულ ღირებულებაზე	1			2/3						2	2	2	3
დამოუკიდებლად შეიმუშავებს და წარმართავს კვლევით პროექტებს უცნობ და მულტიდისციპლინურ გარემოში აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გაზიარებითა და სტანდარტების ოპტიმალური გამოყენებით	1	1/2		2/3		2	2				2		3
დამოუკიდებლად იყენებს სფეროში მიღებულ ცოდნას ცვალებად გარემოში ადაპტირებისა და პრაქტიკაში დანერგვის მიზნით	1	1/2	1/2					2	2		2		3
უწყვეტი პროფესიული საქმიანობის დამოუკიდებლად წარსამართად ახორციელებს საკუთარი შესაძლებლობებისა და ეთიკური ღირებულებების თანმიმდევრულ და მრავალმხრივ შეფასებას	1/2	1/2	1/2	3				2	2			2/3	3